



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება № 177



2011 წლის 21 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №154 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ო” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის 2011 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 97100 (ოთხმოცდაჩვიდმეტიათასასი) ლარით
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. №13).

საკრებულოს თავმჯდომარე -ით ლომიძე



## მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი.

### პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება.

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია;
- მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;
- სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია;

### პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 97100 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	81504
22	საქონელი და მომსახურება	15596
	სულ	97100

### პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

### პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები.
- დამთავალიერებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება.
- მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.